საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მიმოხილვა

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრული ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან, მათ შორის, მსოფლიო ბანკის და ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით. მიმდინარე წელს მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები საერთაშორისო პარტნიორების (WB), ასევე სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით.

ბოლო წლებში მიღებული პრაქტიკიდან და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილებით დამტკიცდა განახლებული საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია. განახლებული მეთოდოლოგია ვრცელდება ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე (მათ შორის, 5 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტებზე) და პროექტის ღირებულების და სპეციფიკის მიხედვით მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებულია თუ რა სახის ინფორმაციის მომზადებაა საჭირო. კერძოდ: მეთოდოლოგიაში განისაზღვრა სამი კატეგორიის საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი:

- < მცირე საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარამდე ღირებულების საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტს.
- < საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტს.
- < მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი წარმოადგენს 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს.

მსხვილი ან ზოგიერთ შემთხვევაში საშუალო საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემთხვევაში საბოლოო შერჩევის ეტაპზე, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, პროექტის განხორციელების/არ განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი ეკონომიკური საბჭო.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით 2023-2024 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის (E-PIM) შექმნის მიმართულებით. ელექტრონული პორტალის სატესტო ვერსია შემუშავდა 2024 წელს და 2025 წლიდან სისტემა რეალურ რეჟიმში ჩაეშვა.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები უცხოელ ექსპერტებთან ელექტრონული საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის (www.epim.mof.ge) სატესტო ვერსიის განხილვის მიზნით, მათ შორის, სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით უკუკავშირის მისაღებად მოწვეული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულები არიან საინვესტიციო პროექტების მომზადების პროცესში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით 2024 წელს გაიმართა შეხვედრები საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის შემდგომ გაგრძელებასა და გაუმჯობესების გზების განსახილველად, მათ შორის, განხილული იყო ელექტრონული სისტემის ფუნქციონალი.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები საერთაშორისო პარტნიორების (WB) მხარდაჭერით. ამასთან, 2023 წელს სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში დაინერგა ახალი ტრეინინგ კურსი - საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვა. აღნიშული ტრეინინგი ტარდება რეგულარულად დამსწრეთა მოთხოვნის შესაბამისად.

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის დანერგვა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის კაპიტალური პროექტების დანართი

კაპიტალური პროექტების დანართის მომზადება საბიუჯეტო განაცხადის ნაწილია და ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget.ge) მეშვეობით. „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს 2026-2029 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის სახელწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული, „კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული“ პროგრამების და ქვე-პროგრამების ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის პროგრამული კოდი და პროექტის დასახელება;
- პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- პროექტის აღწერა და მიზანი;
- პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- კაპიტალური პროექტების დაფინანსების მოცულობები, კერძოდ, გასული წლის ჩათვლით პროექტის ფაქტიური ხარჯი, მიმდინარე წლის გეგმა, დაფინანსების მოცულობები

დასაგეგმი საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის წლების მიხედვით და პროექტის მთლიანი ღირებულება.

საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მომზადებულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს 89 კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებულ პროექტს (პროგრამა/ქვე-პროგრამა) ჯამური მოცულობით 2026 წელს 3,9 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება 2029 წლის ჩათვლით 46.0 მილიარდ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტების მთლიანი ღირებულების 87.0% მიმდინარე, უკვე დაწყებული პროექტებია, რომელიც ძირითადად ხორციელდება საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით, კერძოდ:

- **ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლის მშენებლობა (ADB)** - მიმდინარეობს მუშაობა, პროექტი შეფასდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, პროექტის განხორციელების დაწყება დაგეგმილია 2026 წლის მეორე ნახევარში;
- **თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბადიაური-ბაკურციხის მონაკვეთის მშენებლობა (WB)** - აღნიშნული გზის მონაკვეთი არის მეთოდოლოგიით უკვე შეფასებული პროექტის გაგრძელება. ამასთან, საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით პროექტის შეფასება დაგეგმილია 2026 წლის მეორე ნახევრისთვის;
- **თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის წიწამური-ზაჰესი-აეროპორტის კვანძის მონაკვეთის მშენებლობა** - მიმდინარეობს მუშაობა, პროექტი შეფასდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, პროექტის განხორციელების დაწყება დაგეგმილია 2026 წლის მეორე ნახევარში;
- **პროგრამა ადგილობრივ დონეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ სტანდარტის შესაბამის (CLEAR) წყალზე** - პროგრამა შედგენა მრავალი მცირე ზომის პროექტისგან, თუ წლის განმავლობაში გამოვლინდა საშუალო ან მსხვილი კატეგორიის ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი მისი შეფასება განხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- **უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია** - 2026 წლის განმავლობაში კონკრეტულ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გავლის შემდგომ;
- **სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა** - 2026 წლის განმავლობაში კონკრეტულ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით დადგენილი მოთხოვნების გავლის შემდგომ.

2025 წლის განმავლობაში განხილული/შეფასებული ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

ცხრილში N1 მოცემულია ახლი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი, რომელებიც შეფასებულია განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მსხვილი კატეგორიის საინვესტიციო-კაპიტალური პროექტები
(≥ 20 მლნ ლარის ღირებულების)

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
1	თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	70,000,000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	27 04	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენადციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
2	სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,025,000,000.0	ADB	25 02 03 09	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენადციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
3	ენერგიის შენახვის, ელექტროენერგიის შემნახველი ბატარეების სისტემა - BESS	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	355,000,000.0	ADB	24 20	განიხილა სამუშაო ჯგუფმა და რეკომენადციებთან ერთად გაეგზავნა ეკონომიკურ საბჭოს,

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროგრამული კოდი	პროექტის შეფასების სტატუსი
						მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
	სულ ჯამი		1,450,000,000.0			

1. თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა

დასახელება	თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა	
წარმომდგენი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
განმახორციელებელი	„საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“	
მოკლე აღწერა	თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო (მის:თბილისი, ს. ჩიქოვანის ქ. 14) დღეის მდგომარეობით, ფუნქციონირებს 81 საწოლზე, თუმცა ინფექციური დაავადებების შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ბოლო წლებში, შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოში“ მცირდება პაციენტთა მიმართვების რაოდენობა ინფრასტრუქტურული პირობების გამო. არსებულ შენობაში მოქმედი რეგულაციების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო სერვისების მიწოდება ვერ განხორციელდება. ვინაიდან ბავშვთა ინფექციური პათოლოგიების მართვის მიმართულებით არის ერთადერთი მონოპროფილური კლინიკა დგება ახალი შენობის აშენების აუცილებლობა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის" მართვის ქვეშ არსებული თანამედროვე სტანდარტის ახალი მონოპროფილური 80 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა და აღჭურვა.	
ღირებულება	70,000,000 ₾	
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	**არაფრის კეთება**	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	5,712,257	8,571,524
საშუალო წლიური შემოსავალი	3,056,735	6,958,134

NPV		-34,330,562.3
IRR		0.63%
ENPV		8,944,323.6
EIRR		11.11%
EB/C		1.12

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, პროექტის მთლიანი ღირებულება 70.0 მლნ ლარია, მათ შორის მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 50.0 მლნ ლარი, ხოლო აღჭურვისთვის 20.0 მლნ ლარი. პროექტის დაფინანსების წყაროა „სამინისტროს სისტემაში არსებული სამედიცინო და სხვა დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ პროგრამა (პროგრამული კოდი 27 04).

2. სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა

დასახელება	სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბათუმი(ჭოროხი)-სარფის მონაკვეთზე ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა
წარმომდგენი	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მოკლე აღწერა	ბათუმი-სარფის 11.3 კმ-იანი მონაკვეთი E60-E70 მაგისტრალის ბოლო მონაკვეთია, რომელიც ბათუმის შემოვლით გზას დააკავშირებს სარფის საბაჟოსთან და თურქეთის რესპუბლიკასთან. გზის მშენებლობის ტექნიკური პარამეტრებია: - საპროექტო მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 11.3 კმ- ს - მიწის ვაკისის სიგანე - 14.60 მ - სამოძრაო ზოლების რაოდენობა - 2 - სავალი ნაწილის სიგანე გამაგრების ზოლით - 11.50 მ - სავალი ზოლის სიგანე - 1x3.75 მ თითოეულ მიმართულებაზე - უსაფრთხოების ზოლის სიგანე - 0.50 მ - გამაგრებული გვერდულების სიგანე - 1.75 მ - საანგარიშო სიჩქარე - 100 კმ/სთ • გზის მშენებლობის დადებითი შედეგები: – მკვეთრად გაიზრდება ავტოტრანსპორტის მოძრაობა – საგრძნობლად გაუმჯობესდება მოძრაობის უსაფრთხოება – გაიზარდება გამტარუნარიანობა და გადაადგილების სიჩქარეები – გაიზრდება საქართველოზე გამავალი E-60, E-70 და TEN-T ქსელის Core Network-ის კონკურენტუნარიანობა სხვა კორიდორებთან მიმართებაში. - ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას.

ღირებულება	1,025,000,000.0 ₾
დაფინანსების წყარო	ADB
შეფასების პერიოდი	25 წელი
ალტერნატივები	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	6,902,208.0 ₾
NPV	-820,789,874.2 ₾
IRR	-4.19%
ENPV	1,173,273,149.5₾
EIRR	18.17%
EB/C	2.55

პროექტის დასაწყებად საჭირო სახსრები გათვალისწინებულია იყო 2025 წლის საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს აზიის განვითარების ბანკის (ADB) სასესხო კომპონენტის ფარგლებში.

3. ენერგიის შენახვის, ელექტროენერგიის შემნახველი ბატარეების სისტემა - BESS

დასახელება	ენერგიის შენახვის, ელექტროენერგიის შემნახველი ბატარეების სისტემა - BESS
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
განმახორციელებელი	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
მოკლე აღწერა	შემოთავაზებული ენერგიის შენახვის პროექტი, ინვესტიციებისა და პოლიტიკის მხარდაჭერით გააძლიერებს ელექტრო ქსელის უსაფრთხოებას, გააუმჯობესებს მარეგულირებელ ბაზას და უზრუნველყოფს ქსელში განახლებადი ენერგიის ინტეგრირებას. აღნიშნული ენერგიის შემნახველი სისტემა მნიშვნელოვნად შეამცირებს ელექტროენერგიის დეფიციტს და უზრუნველყოფს დამხმარე სერვისების მიწოდებას საქართველოს ენერგო სისტემაში. აღნიშნული პროექტი მხარს უჭერს მთავრობის მიზნებს ენერგეტიკის სექტორის რეფორმირებაში, ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გაღრმავებისა და გადამცემი ქსელის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველყოფაში. სსე-სთვის ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებულ კვლევაში ელექტროენერგიის შესანახი ბატარეის სისტემა წარმოჩინდა, როგორც ელექტროენერგიის ქსელის უსაფრთხოების კრიტიკული გადაწყვეტა და ახალი განახლებადი ენერგიის წყაროების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფისთვის ეფექტური საშუალება. პროექტი ხელს

	შეუწყობს საჯარო ინვესტიციას ელექტროენერგიის შესანახი ბატარეის სისტემის დამონტაჟებაში (BESS), რაც წარმოადგენს სწრაფი რეაგირებას/პასუხს ენერგოსისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის საჭირო შენახვის გადაუდებელ საჭიროებებზე.	
ღირებულება	355,000,000.0 ₾	
დაფინანსების წყარო	ADB	
შეფასების პერიოდი	18 წელი	
ალტერნატივები	**პროექტი**	**ალტერნატივა**
საშუალო წლიური ხარჯი	2,902,856	19,000,783
საშუალო წლიური შემოსავალი	40,439,740	44,299,655
NPV	**49,557,954.23**	**-818,055,708.27**
IRR	**11.48%**	**-13.09%**
ENPV	**746,321,662.33**	**-52,622,270.65**
EIRR	**44.21%**	**7.43%**
EB/C	**3.62**	**0.95**

საშუალო კატეგორიის საინვესტიციო-კაპიტალური პროექტები
(20 მლნ ლარამდე ღირებულების)

N	**პროექტის დასახელება**	**პროექტის წარმომდგენი უწყება**	**პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)**	**დაფინანსების წყარო**	**პროექტის შეფასების სტატუსი**
1	ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის მოწყობა (AI Center of Excellence) ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის ტერიტორიაზე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	19,057,524.9	სახელმწიფო ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
2	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	18,678,000.0	საკუთარი სახსრები	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება
3	ქ. ბორჯომში რუსთაველის ქN107-ში მდებარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (ს.კ. 64.23.02.973) რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	9,195,463.0	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს პროექტის დასაფინანსებლად არსებული ფინანსური რესურსის და

N	პროექტის დასახელება	პროექტის წარმომდგენი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ლარი)	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
	შედეგად სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის მოწყობა				სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე.
4	ა(ა)იპ თბილისის N196-ე საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	7,600,000.0	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს პროექტის დასაფინანსებლად არსებული ფინანსური რესურსის და სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე.
5	ქ.თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის მოწყობა	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	6,827,854.0	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	განიხილა სამუშაო ჯგუფმა, მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს პროექტის დასაფინანსებლად არსებული ფინანსური რესურსის და სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე.
6	სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტოს" გურიის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და მცირე საბაზისო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	8,990,000.0	სახელმწიფო ბიუჯეტი	სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და მაღალი საშუალო წლიური ხარჯიდან და შემოსავლების პარამეტრებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ინიციატორის მიერ პროექტის პოტენციური დამატებითი შემოსავლების განხილვა, რომლის შემდეგაც სამუშაო ჯგუფი დაუბრუნდება პროექტის განხილვას
	სულ ჯამი		**70,348,841.9**		

1. ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის მოწყობა (AI Center of Excellence) ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის ტერიტორიაზე

დასახელება	ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის მოწყობა (AI Center of Excellence) ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის ტერიტორიაზე
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
განმახორციელებელი	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

	პროექტი ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის დაფუძნებას, რომელიც შექმნის ხელოვნური ინტელექტის მოდელების ინფრასტრუქტურას. ცენტრი გააერთიანებს ხუთ ძირითად მიმართულებას: • ქართული ხელოვნური ინტელექტის მოდელის განვითარება [GEO AI]; • ხელოვნური ინტელექტი ბიზნესისთვის [Business AI]; • ხელოვნური ინტელექტი საჯარო მმართველობისთვის [Government AI]; • გამოთვლითი მიმართულება [Computing]; • აკადემიისა და საზოგადოების ჩართულობა [Academia & Community Engagement].
მოკლე აღწერა	ინტეგრირებული მოდელები უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სინერგიული ეფექტების მიღწევასა და კოორდინირებულ მიდგომას ხელოვნური ინტელექტის განვითარებისადმი. პროექტი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ეფექტიანად გადაიჭრას იდენტიფიცირებული პრობლემები, რადგან ქმნის ერთიან ეკოსისტემას, სადაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარე შეძლებს თანამშრომლობასა და რესურსების გაზიარებას. ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრი თავს მოუყრის ინოვაციურ სტარტაპებს და მეწარმეებს, აკადემიური სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორის მკვლევარებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, საჯარო სექტორის წარმომადგენლებს.
ღირებულება	19,095,412.0 ₾
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი
შეფასების პერიოდი	10 წელი
ალტერნატივები	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	19,057,524.9
საშუალო წლიური შემოსავალი	3,085,647.7
NPV	**-123,046,642.7**
IRR	**#NUM!**
ENPV	**141,965,888.4**
EIRR	**35.91%**
EB/C	**2.18**

2. სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა

დასახელება	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საოფისე სივრცის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა	
წარმომდგენი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
განმახორციელებელი	სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	
მოკლე აღწერა	განახლებული საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია ქ. თბილისში ქვემო ფონიჭალის დასახლებაში სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ტერიტორიაზე 4,671კვ.მ ფართის ოდენობის სამსართულიანი შენობის მშენებლობას და 11,000 კვ.მ მეტრის გარე სივრცის მოწყობას. აღნიშნული უზრუნველყოფს: - სააგენტოს თბილისის ფრონტ ოფისის საკმარისი ფართობით, რის გამოც აღმოიფხვრება რიგები და დაჩქარდება სააგენტოს სერვისები; - საკვალიფიკაციო ცენტრს ექნება ორი აუდიტორია და შესაბამისი სტანდარტით მოწყობილი პოლიგონი, რაც უზრუნველყოფს თეორიული ლექციების პარალელურად ჩატარების შესაძლებლობას ასევე, პრაქტიკული გამოცდების თუ მეცადინეობების დროულად ჩატარებას (ხარჯების დაზოგვის მიზნით იჯარით აღების შემთხვევაში ხდებოდა მსმენელების ერთ ჯგუფამდე შევსების ლოდინი); - სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ფართის ოთახებით, რაც საკმარისი იქნება მათი ეფექტიანი მუშაობისათვის, მათ შორის დაგეგმილი რეფორმების გათვალისწინებით; - მომხმარებელს, სააგენტოს თანამშრომლებს და ვიზიტორებს არ მოუწევთ საპარკინგე ადგილების ძებნა;	
ღირებულება	18,678,000 ₾	
დაფინანსების წყარო	საკუთარი სახსრები	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	**არაფრის კეთება**	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	11,276,969	11,020,593
საშუალო წლიური შემოსავალი	37,041,036	38,481,913
NPV		**513,143.7**
IRR		**9.10%**
ENPV		**3,436,386.2**
EIRR		**12.94%**
EB/C		**1.31**

წარმოდგენილი პროექტი 2023 წელს განხილული და შეთანხმებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. თუმცა რეალური გარემოებების გათვალისწინებით შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის მასშტაბი (4000 კვ.მ-ის ნაცვლად პროექტი განხორციელდება 4,671 კვ.მ-ზე) და მოხდა პროექტის თავიდან დაგეგმვა, ასევე შეიცვალა პროექტის კაპიტალური ღირებულებაც, რომელიც გაიზარდა 6 მლნ ლარით. გამომდინარე აქედან, ინიციატორის მიერ მოხდა განახლებული პროექტის თავიდან შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან.

3. ქ. ბორჯომში რუსთაველის ქN107-ში მდებარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (ს.კ. 64.23.02.973) რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის შედეგად სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის მოწყობა

დასახელება	ქ. ბორჯომში რუსთაველის ქN107-ში მდებარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (ს.კ. 64.23.02.973) რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის შედეგად სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის მოწყობა	
წარმომდგენი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია	
განმახორციელებელი	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური	
მოკლე აღწერა	პროექტის თანახმად ორი ფრიგელის სრული დემონტაჟი ხორციელდება ხოლო დანარჩენი სამი ექვემდებარება გამაგრება/გაძლიერების შედეგად რეაბილიტაციას. შენობის რეკონსტრუქციის შედეგად სივრცეები მოეწყობა შემდეგნაირად: სასპორტო სკოლა შესაბამისი დარბაზებით სხვადასხვა სპორტული აქტივობებისატის, გასახდელებითა და საშხაპეებით, ასევე შენობაში განთავსდება სატრენაჟორო დარბაზი, მოეწყობა ბიბლიოთეკა/მედიათეკა სამკითხველო დარბაზითა და საცავით, საოფისე ფართები, საკონფერენციო დარბაზი, სასაწყობე და სხვა სივრცეები. აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდებისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესისა და განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობასთან.	
ღირებულება	9,195,463 ₾	
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
შეფასების პერიოდი	15 წელი	
ალტერნატივები	**არაფრის კეთება**	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	3,613,226	3,941,279

საშუალო წლიური შემოსავალი		1,952
NPV		**-7,771,982.73**
IRR		**-5.02%**
ENPV		**-9,994,227.58**
EIRR		**-6.81%**
EB/C		**0.21**

4. ა(ა)იპ თბილისის N196-ე საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია

დასახელება	ა(ა)იპ თბილისის N196-ე საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია
წარმომდგენი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
განმახორციელებელი	ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
მოკლე აღწერა	პროექტი ითვალისწინებს ქალაქი თბილისში, სამგორის რაიონი, ვარკეთილის 3, IV მ/რ საბავშვო ბაღის მშენებლობას. საბავშვო ბაგა-ბაღო გათვლილი არის 580 აღსაზრდელზე, ჯგუფების რაოდენობა 20, მშ. ბაგა - 4 ჯგუფი, გამოყენებადი სივრცე - მიწის ნაკვეთის ფართობი არის - 7 540.00 კვ.მ. და შენობების საერთო ფართი არის- 2 776.11 კვ.მ
ღირებულება	7,600,000.0 ₾
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
შეფასების პერიოდი	15 წელი
ალტერნატივები	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	2,510,741.46
NPV	**-1,596,666.82**
IRR	**4.01%**

5. ქ.თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის მოწყობა

დასახელება	ქ.თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის მოწყობა
წარმომდგენი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მოკლე აღწერა	ამჟამად თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმს არ გააჩნია შენობა, სადაც შეძლებს სრულყოფილად ფუნქციონირებას. 2012 წლის სექტემბერში განხორციელდა თბილისში, შავთელის ქუჩაზე მდებარე სათამაშოების და თოჯინების მუზეუმის ძველი შენობის დემონტაჟი და მუზეუმის კოლექციები გადატანილი იქნა აღმაშენებლის №103-107-ში მდებარე შენობაში, რომლის ფართი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 15 ივნისის №04-1/54 ბრძანების საფუძველზე, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებას“. თუმცა აღნიშნული შენობა შეუსაბამო იყო სამუზეუმო საქმიანობის (საექსპოზიციო და საფონდო მიმართულება) განსახორციელებლად. ქ.თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის კოლექციები ამჟამად მხოლოდ ფონდსაცავშია განთავსებული და თითქმის ათი წელია დამთვალიერებლისთვის ხელმიუწვდომელია, კოლექციებში დაცული ექსპონატები ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნიმუშებს აერთიანებს და გარდა მემკვიდრეობის დაცვა შენახვისა, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და ტურისტულ რესურსად განიხილება. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ფაქტობრივად მსგავსი უნიკალური კოლექციები არცერთ მუზეუმს არ გააჩნია, შესაბამისად მათი ექსპონირება თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებით მოწყობილ მუზეუმში ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვასა და მუზეუმის პოპულარიზაციას.
ღირებულება	6,827,854.0 ₾
დაფინანსების წყარო	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
შეფასების პერიოდი	15 წელი
ალტერნატივები	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	412,871.73
NPV	**-1,209,112.97**
IRR	**5.84%**

6. სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტოს" გურიის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და მცირე საბაზისო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა

დასახელება	სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტოს" გურიის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და მცირე საბაზისო ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა
წარმომდგენი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
განმახორციელებელი	სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"

მოკლე აღწერა	გურიის ეროვნული პარკი დაარსდა 2024 წლის პირველი ივლისიდან. დღეის მდგომარეობით სააგენტოს არ გააჩნია რაიმე სახის ადმინისტრაციული ხასიათის შენობა-ნაგებობა და საბაზისო ტურისტული ინფრასტრუქტურა
ღირებულება	8,990,000.0 ₾
დაფინანსების წყარო	სახელმწიფო ბიუჯეტი
შეფასების პერიოდი	15 წელი
ალტერნატივები	**პროექტი**
საშუალო წლიური ხარჯი	913,435.38
საშუალო წლიური შემოსავალი	20,377.66
NPV	**-5,563,597.03**
IRR	**-2.62%**
ENPV	37,776,832.79
EIRR	50.34 %
EB/C	6.62

სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და მაღალი საშუალო წლიური ხარჯიდან და შემოსავლების პარამეტრებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ინიციატორის მიერ პროექტის პოტენციური დამატებითი შემოსავლების განხილვა, რომლის შემდეგაც სამუშაო ჯგუფი დაუბრუნდება პროექტის განხილვას.